წერილი ევროპელ თანატოლს- დამოუკიდებლობიდან თავისუფლებამდე:

მოგესალმები ჩემო ევროპელო მეგობარო, მე ქართველი გოგონა, სახელად მართა, ქვეყნიდან, რომელიც
ძალიან პატარაა,მაგრამლამაზი, დიადი, უდიდესი კულტურის, ისტორიისა
და ცივილიზაციისკერა… ეს საოცარი ბუნების, უკეთილშობილესი ხალხის
მხარე ჩემი
სამშობლოა, რომლის წარსულით,ღირებულებებითა და მის მიერ გავლილი
გზით ძალიან ვამაყობ.

ჩემო მეგობარო, შენ თავისუფალ ევროპაში ვხოვრობ
მაგრამ ქართველი ხალხი ბუნებით არის თავისუფალი…

უდიდესი ქართველი მწერალი, სულხან-საბა
ორბელიანი, პირველი დიპლომატი იყო, ვინც ევროპას
მიმართა დახმარებისთვის.

ურთულესი გზა განვლო ჩემმა ქვეყანამ დასაბამიდან დღემდე ხმლითა და მახვილით, ცეცხლითა და შანთით, ამიტომაც არის ქართული მიწა ქართველთა სისხლით გაპოხურებული. ქართული სული ყოველთვის უშიშარი და გამბედავდი იყო.

პირველი დამოუკიდებლობა მივიღეთ 1918 წლის 26 მაისს, რომელიც ნოე ჟორდანიამ გამოაცხადა და მხოლოდ 3 წელი გაგრძელდა. წითელი არმიის “წყალობით” ჟორდანიას მთავრობა დაამხეს. ჩვენ დღეს დღეობით გვაქვს ჩვენი მამული საფრანგეთში, კერძოდ კი ლევილში სადაც განისვენებდნენ ყოფილი მთავრობის წევრები და მოღვაწეები.

მეორედ ზვიად გამსახურდიამ გამოაცხადა საქართველოს დამოუკიდებლობა 1989 წლის 9 აპრილს მას შემდეგ დღემდე ჩვენი ქვეყანა მშვიდობისთვის, ერთიანობისთვის და დამოუკიდებლობისთვის იბრძვის. საქართველოს ტერიტორიის 20 პროცენტი რუსეთის მიერ არის ოკუპირებული. ქართველი ხალხი და დღევანდელი მთავრობა ყველაფერს აკეთებს როგორც ტერიტორიების დასაბრუნებლად, ასევე საქართველოს ევროპის დიდ ოჯახში დასამკვიდრებლად, რადგან ჩვენი მთავარი მისია ჩვენი სამშობლოს კეთილდღეობაა. ჯერ კიდევ მე-19 საუკუნეში დიდი ილია ბრძანებდა: “ სამი ღვთაებრივი საუნჯე დაგვრჩა ჩვენ მამაპაპათაგან: მამული, ენა და სარწმუნოება. თუ ამათაც არ ვუპატრონებთ, რა კაცები ვიქნებით, რა პასუხს გავცემთ შთამომავლობას?

ჩემო ძვირფასო ევროპელო მეგობარო, რადგანაც ჩვენი ქვეყნები ცდილობენ ურთიერთობის გამყარებას მე აუცილებლად გესტუმრები შენს დიდ ევროპაში და შენც უცილებლად დაგპტიჟებ ჩემს სტუმართ მოყვარე საქართველოში.

შენი მეგობარი მართა
პატარა საქართველოდან ❤️